სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

02 მაისი, 2024 წ.

ბრძანება N 01-02/59

2024-2025 სასწავლო წლისთვის მინიოს, ევორას და ავეიროს უნივერსიტეტებში საერთაშორისო მობილობისთვის ბსუ-ს სტუდენტების, აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის გამოსავლენად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №01-06/89 დადგენილების, ევროკომისიის მიერ დაფინანსებული „ERASMUS+ PEERS" საგრანტო პროექტისა და ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის 2024 წლის 01 მაისის N488573 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. 2024-2025 სასწავლო წლისთვის „ERASMUS+ PEERS" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მინიოს, ევორას და ავეიროს (პორტუგალია) უნივერსიტეტებში საერთაშორისო მობილობაში მონაწილე ბსუ-ს სტუდენტთა და აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის გამოსავლენად **გამოცხადდეს კონკურსი** და განისაზღვროს შემდეგი **ვადები და კრიტერიუმები:**

ა) კონკურსში მონაწილეობის მსურველ პირთა მიერ საკონკურსო დოკუმენტაციის (განსაზღვრული ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/89 დადგენილებით) წარდგენა ელექტრონულად, ბმულზე - https://inqueritos.reitoria.uminho.pt, 2024 წლის 02 მაისიდან - 31 მაისამდე;

ბ) ინგლისური ენის ტესტირებაში მონაწილეობის მსურველ პირთა განცხადებების (სტუდენტებისათვის - ბსუ-ს სტუდენტურ პორტალის, აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალისათვის - საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის **eflow-ის** ან **info@bsu.edu.ge**-ს მეშვეობით) მიღება - **2024 წლის 22 მაისი, 15:00 საათამდე;**

გ) განცხადების საფუძველზე სტუდენტთა ტესტირება/გამოცდა ინგლისურ ენაში - (ინგლისური B1-B2) - **2024 წლის 24 მაისი, 11:00 საათზე.** ბსუ-ს საგამოცდო ცენტრი, №4 კორპუსი, მის: ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. №12 (უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატის არსებობის შემთხვევაში, კონკურსანტი თავისუფლდება ტესტირებიდან);

დ) კონკურსში მონაწილეთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის „PEERS" პროექტის ჯგუფის მიერ პირველადი გადარჩევის შემდეგ, ბსუ-ში საერთაშორისო მობილობაში

მონაწილე კანდიდატთა დოკუმენტების გადმოგზავნა მათი შეფასების მიზნით (შეფასების კრიტერიუმები ვადები და წესები იგზავნება ოფიციალური წერილის სახით);

ე) გამარჯვებული კონკურსანტების შერჩევა/სტიპენდიის მინიჭება ,,ERASMUS+PEERS" პროექტის ადმინისტრირების ჯგუფის მიერ.

2. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის შესახებ განცხადების ტექსტი მომზადდეს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მიერ და გაეგზავნოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს -ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებისათვის, ხოლო სასწავლო პროცესის დეპარტამენტს - ბსუ-ს პორტალზე განთავსებისათვის.
4. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და კომისიის წევრებს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქუჩა №30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**